# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №59

## 2016 წლის 4 ნოემბერი

## ქ. ზუგდიდი

### ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის №80 დადგენილებაში www.matsne.gov.ge, 25.12.2015, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.170.016160) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) შემცირდეს საბიუჯეტო ასიგნებები 412,4 ათასი ლარით, კერძოდ:

ა.ა) 101,2 ათასი ლარით - მერიის ოფისისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლები (ოფისის ხარჯი - 56,1 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები - 3,5 ათასი ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 15,9 ათასი ლარით, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 5,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 19,3 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 0,8 ათასი ლარით) (კოდი 01 02);

ა.ბ) 170,0 ათასი ლარით - კეთილმოწყობის ცენტრი (კოდი 03 03 02);

ა.გ) 50,0 ათასი ლარით - პარკების, სკვერების, მოედნების და ბოტანიკური ბაღის კეთილმოწყობა (კოდი 03 03 04);

ა.დ) 0,3 ათასი ლარით - ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია (03 01 02);

ა.ე) 11,0 ათასი ლარით - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 03 02 03);

ა.ვ) 5,9 ათასი ლარით - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 03 05);

ა.ზ) 1,5 ათასი ლარით - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება (კოდი 03 11);

ა.თ) 6,5 ათასი ლარით - რგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (კოდი 03 12);

ა.ი) 1,0 ათასი ლარით - მინისპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კოდი 05 01 03);

ა.კ) 30,0 ათასი ლარით - ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (კოდი 05 02 06);

ა.ლ) 15,0 ათასი ლარით - კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 02 05);

ა.მ) 13,0 ათასი ლარით - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 05 02 01);

ა.ნ) 7,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 04 02).

ბ) 412,4 ათასი ლარით გადიდდეს საბიუჯეტო ასიგნებანი, კერძოდ:

ბ.ა) 120,0 ათასი ლარით - სამედიცინო დახმარების პროგრამა (კოდი 06 03 12);

ბ.ბ) 21,2 ათასი ლარით - გარე განთების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ღონისძიებები (კოდი 03 02 01);

ბ.გ) 50,0 ათასი ლარით - სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 03 04);

ბ.დ) 157,0 ათასი ლარით - სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 04 01);

ბ.ე) 64,2 ათასი ლარით - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა (კოდი 03 02 02).

გ) განხორციელდეს განათლების პროგრამული კოდით ღონისძიებებს შორის ხარჯების ცვლილება, კერძოდ: საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამიდან (კოდი 04 02) 4,3 ათასი ლარი გადატანილ იქნეს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 04 04).

**მუხლი 2**

ზემოხსენებული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა განისაზღვრება 28 966.7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 3**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი თოდუა

დანართი

# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

## თავი I

## ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

**განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:**

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 17 455,4 | 19 567,4 | 3 870,5 | 15 696,9 | 27 417,7 | 27 417,7 | 8 865,5 |
| გადასახადები | 1 436,4 | 1 550,0 | 0,0 | 1 550,0 | 4 660,0 | 4 660,0 | 0,0 |
| გრანტები | 13 852,5 | 15 695,4 | 3 870,5 | 11 824,9 | 19 997,7 | 19 997,7 | 8 865,5 |
| სხვა შემოსავლები | 2 166,5 | 2 322,0 | 0,0 | 2 322,0 | 2 760,0 | 2 760,0 | 0,0 |
| ხარჯები | 11 389,2 | 14 736,1 | 910,8 | 13 825,3 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 3 053,5 | 2 752,6 | 0,0 | 2 752,6 | 3 069,6 | 0,0 | 3 069,6 |
| საქონელი და მომსახურება | 1 406,6 | 2 313,1 | 341,3 | 1 971,8 | 2 626,6 | 0,0 | 2 626,6 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 333,5 | 0,0 | 333,5 |
| სუბსიდიები | 5 941,2 | 6 898,9 | 0,0 | 6 898,9 | 8 736,0 | 0,0 | 8 736,0 |
| გრანტები | | 957,0 | 0,0 | 957,0 | 380,0 | 0,0 | 380,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 761,4 | 945,0 | 0,0 | 945,0 | 1 394,8 | 0,0 | 1 394,8 |
| სხვა ხარჯები | 226,5 | 869,5 | 569,5 | 300,0 | 319,9 | 0,0 | 319,9 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 6 066,2 | 4 831,3 | 2 959,7 | 1 871,6 | 10 557,3 | 8 865,5 | 1 691,8 |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4 145,8 | 5 247,4 | 4 129,9 | 1 117,5 | 11 137,4 | 9 327,8 | 1 809,6 |
| ზრდა | 4 216,5 | 5 397,4 | 4 129,9 | 1 267,5 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 |
| კლება | 70,7 | 150,0 | | 150,0 | 405,0 | 0,0 | 405,0 |
| მთლიანი სალდო | 1920.4 | -416,1 | -1 170,2 | 754,1 | -580,1 | -462,3 | -117,8 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1071.4 | -1 403,9 | -1 170,2 | -233,7 | -1 144,0 | -462,3 | -681,7 |
| ზრდა | 1 071,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1 071,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 1 403,9 | 1 170,2 | 233,7 | 1 144,0 | 462,3 | 681,7 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 1 403,9 | 1 170,2 | 233,7 | 1 144,0 | 462,3 | 681,7 |
| | | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -849,0 | -987,8 | 0,0 | -987,8 | -563,9 | 0,0 | -563,9 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 849,0 | 987,8 | 0,0 | 987,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 849,0 | 987,8 | 0,0 | 987,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 |
| ბალანსი | | | | | | | |

მუხლი 2. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 17 526,1 | 19 717,4 | 3 870,5 | 15 846,9 | 27 822,7 | 8 865,5 | 18 957,2 |
| შემოსავლები | 17 455,4 | 19 567,4 | 3 870,5 | 15 696,9 | 27 417,7 | 8 865,5 | 18 552,2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 70,7 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 405,0 | 0,0 | 405,0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| გადასახდელები | 16 454,7 | 21 121,3 | 5 040,7 | 16 080,6 | 28 966,7 | 9 327,8 | 19 638,9 |
| ხარჯები | 11 389,2 | 14 736,1 | 910,8 | 13 825,3 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 216,5 | 5 397,4 | 4 129,9 | 1 267,5 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 |
| ვალდებულების კლება | 849,0 | 987,8 | 0,0 | 987,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 |
| ნაშთის ცვლილება | 1071,4 | -1403,9 | -1170,2 | -233,7 | -1144,0 | -462,3 | -681,7 |

მუხლი 3. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 27417.7 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 17 455,4 | 19 567,4 | 3 870,5 | 15 696,9 | 27 417,7 | 8 865,5 | 18 552,2 |
| გადასახადები | 1 436,4 | 1 550,0 | 0,0 | 1 550,0 | 4 660,0 | 0,0 | 4 660,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 13 852,5 | 15 695,4 | 3 870,5 | 11 824,9 | 19 997,7 | 8 865,5 | 11 132,2 |
| სხვა შემოსავლები | 2166,5 | 2 322,0 | 0,0 | 2 322,0 | 2 760,0 | 0,0 | 2 760,0 |

მუხლი 4. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4660,0 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 1 436,4 | 1 550,0 | 0,0 | 1 550,0 | 4 660,0 | 0,0 | 4 660,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 3 500,0 | 0,0 | 3 500,0 |
| ქონების გადასახადი | 1 436,4 | 1 550,0 | 0,0 | 1 550,0 | 1 160,0 | 0,0 | 1 160,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე ( გარდა მიწისა) | 1 030,4 | 1 000,0 | 0,0 | 1 000,0 | 900,0 | 0,0 | 900,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 66,4 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 258,8 | 500,0 | 0,0 | 500,0 | 220,0 | 0,0 | 220,0 |

მუხლი 5. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 19997.7 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 852,5 | 15 695,4 | 3 870,5 | 11 824,9 | 19 997,7 | 8 865,5 | 11 132,2 |
| სახელმწიფო | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 13 852,5 | 15 695,4 | 3 870,5 | 11 824,9 | 19 997,7 | 8 865,5 | 11 132,2 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 9 876,9 | 11 729,9 | 0,0 | 11 729,9 | 11 005,2 | 0,0 | 11 005,2 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 70,0 | 95,0 | 0,0 | 95,0 | 127,0 | 0,0 | 127,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 3 905,6 | 3 870,5 | 3 870,5 | 0,0 | 8 865,5 | 8 865,5 | 0,0 |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 3 905,6 | 3 870,5 | 3 870,5 | 0,0 | 8 865,5 | 8 865,5 | |

მუხლი 6. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2760,0 ათ. ლარის ოდენობით

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 2 166,5 | 2 322,0 | 0,0 | 2 322,0 | 2 760,0 | 0,0 | 2 760,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 90,1 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 160,0 | 0,0 | 160,0 |
| პროცენტები | 48,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან | 1 506,3 | 1 812,0 | 0,0 | 1 812,0 | 1 600,0 | 0,0 | 1 600,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1 506,3 | 1 812,0 | 0,0 | 1 812,0 | 1 600,0 | 0,0 | 1 600,0 |
| | | | | | 150,0 | | 150,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანებართვო მოსაკრებელი | 95,4 | 160,0 | 0,0 | 160,0 | | 0,0 | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 1,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 1 167,2 | 1 150,0 | 0,0 | 1 150,0 | 1 000,0 | 0,0 | 1 000,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი და სახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 242,7 | 500,0 | 0,0 | 500,0 | 450,0 | 0,0 | 450,0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 570,1 | 500,0 | 0,0 | 500,0 | 1 000,0 | 0,0 | 1 000,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 7. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16860.4 ათ. ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 11 389,2 | 14 736,1 | 910,8 | 13 825,3 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 |
| შრომის ანაზღაურება | 3 053,5 | 2 752,6 | 0,0 | 2 752,6 | 3 069,6 | 0,0 | 3 069,6 |
| საქონელი და მომსახურება | 1 406,6 | 2 313,1 | 341,3 | 1 971,8 | 2 626,6 | 0,0 | 2 626,6 |
| პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 333,5 | 0,0 | 333,5 |
| სუბსიდიები | 5 644,2 | 6 898,9 | 0,0 | 6 898,9 | 8 736,0 | 0,0 | 8 736,0 |
| გრანტები | 297,0 | 957,0 | 0,0 | 957,0 | 380,0 | 0,0 | 380,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 761,4 | 945,0 | 0,0 | 945,0 | 1 394,8 | 0,0 | 1 394,8 |
| სხვა ხარჯები | 226,5 | 869,5 | 569,5 | 300,0 | 319,9 | 0,0 | 319,9 |

მუხლი 8. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ, შორის: განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11542.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 4 216,5 | 5 397,4 | 4 129,9 | 1 267,5 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 97,6 | 94,4 | 0,0 | 94,4 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 683,5 | 3,6 | 0,0 | 3,6 | 6,2 | 0,0 | 6,2 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3 122,1 | 4 161,7 | 3 428,8 | 732,9 | 10 570,5 | 8 880,2 | 1 690,3 |
| განათლება | 223,3 | 1 003,7 | 701,1 | 302,6 | 517,9 | 447,6 | 70,3 |
| კულტურა, რელიგია , ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 90,0 | 134,0 | 0,0 | 134,0 | 367,8 | 0,0 | 367,8 |

მუხლი 9. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაცია

| | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2 068,6 | 3 700,4 | 0,0 | 3 700,4 | 4 658,1 | 0,0 | 4 658,1 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, | 2 058,6 | 3 700,4 | 0,0 | 3 700,4 | 4 324,6 | 0,0 | 4 324,6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | | | | | | | |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 984,3 | 3 550,4 | 0,0 | 3 550,4 | 4 174,6 | 0,0 | 4 174,6 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 74,3 | 150,0 | 0,0 | 150,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 333,5 | 0,0 | 333,5 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 103,5 | 196,1 | 0,0 | 196,1 | 226,0 | 0,0 | 226,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 2 383,3 | 957,0 | 0,0 | 957,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 2 383,3 | 957,0 | 0,0 | 957,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 3 471,7 | 3 732,7 | 2 107,8 | 1 624,9 | 11 064,8 | 8 267,0 | 2 797,8 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1 179,5 | 1 184,5 | 827,6 | 356,9 | 1 006,1 | 537,0 | 469,1 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 179,5 | 1 184,5 | 827,6 | 356,9 | 1 006,1 | 537,0 | 469,1 |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70473 | ტურიზმი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 2347,9 | 3 615,6 | 2 347,6 | 1 268,0 | 10 058,7 | 7 730,0 | 2 328,7 |
| 705 | გარემოს დაცვა | 1 274,8 | 1 429,7 | 129,7 | 1 300,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1 184,0 | 1 429,7 | 129,7 | 1 300,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 907,1 | 2 937,0 | 2 102,1 | 834,9 | 3 806,3 | 613,2 | 3 193,1 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 28,5 | 579,5 | 569,5 | 10,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7064 | გარე განათება | 789,0 | 1 165,2 | 465,2 | 700,0 | 1 676,1 | 613,2 | 1 062,9 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 89,6 | 124,9 | 0,0 | 124,9 | 2 130,2 | 0,0 | 2 130,2 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 0,0 | 86,0 | 0,0 | 86,0 | 96,0 | 0,0 | 96,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 0,0 | 27,0 | 0,0 | 27,0 | 26,5 | 0,0 | 26,5 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 0,0 | 59,0 | 0,0 | 59,0 | 69,5 | 0,0 | 69,5 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2 803,6 | 3 527,6 | 0,0 | 3 527,6 | 4 178,9 | 0,0 | 4 178,9 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1 605,1 | 1 974,0 | 0,0 | 1 974,0 | 2 377,1 | 0,0 | 2 377,1 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1 074,6 | 1 378,5 | 0,0 | 1 378,5 | 1 605,8 | 0,0 | 1 605,8 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 22,6 | 31,0 | 0,0 | 31,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 21,4 | 44,1 | 0,0 | 44,1 | 56,0 | 0,0 | 56,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 79,9 | 100,0 | 0,0 | 100,0 | 120,0 | 0,0 | 120,0 |
| 709 | განათლება | 1 831,7 | 2 608,0 | 701,1 | 1 906,9 | 2 927,9 | 447,6 | 2 480,3 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 280,0 | 1 192,0 | 0,0 | 1 192,0 | 1 957,0 | 0,0 | 1 957,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 88,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 48,7 | 0,0 | 48,7 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 88,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 48,7 | 0,0 | 48,7 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 462,9 | 1 326,0 | 701,1 | 624,9 | 922,2 | 447,6 | 474,6 |
| 710 | სოციალური დაცვა | 761,4 | 959,0 | 0,0 | 959,0 | 1 444,8 | 0,0 | 1 444,8 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 100,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 | 115,0 | 0,0 | 115,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 100,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 | 115,0 | 0,0 | 115,0 |
| 7102 | 2014 წელს კომპენსაციის თანხა, ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 230,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 15,7 | 29,0 | 0,0 | 29,0 | 35,0 | 0,0 | 35,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 30,4 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 82,0 | 0,0 | 82,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 19,5 | 130,0 | 0,0 | 130,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 365,8 | 622,0 | 0,0 | 622,0 | 1 147,8 | 0,0 | 1 147,8 |
| | სულ | 15 605,7 | 20 133,5 | 5 040,7 | 15 092,8 | 28 402,8 | 9 327,8 | 19 075,0 |

## თავი II
## ქალაქ ზუგდიდის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**მუხლი 10. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები**

საფინანსო საქმიანობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფამ, საბიუჯეტო დაგეგმვის თვალსაზრისით მიღწეულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის და ხარჯვის ეფექტურობის უზრუნველყოფამ, სახაზინო მმართვის პროგრამული სისტემის დანერგვამ, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებამ და ინვესტირების მოცულობის მკვეთრად გადიდებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების გაფართოებას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კულტურის, სპორტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ახალგაზრდული პოლიტიკის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ მხარდაჭერას.

2016 წელს რეალურად გამოიკვეთა და მომდევნო წლებშიც ქალაქის მუნიციპალიტეტის ძირითადი განმსაზღვრელი ინდიკატორი იქნება სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი და, აქედან გამომდინარე, შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები, კერძოდ:

ა) საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ) სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის ამაღლება;

გ) კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდული პოლიტიკის ფინანსური მხარდაჭერა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

დ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ფინანსური განხორციელება).

**1. 14 871,1 ათასი ლარი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის მთავარ პრიორიტეტად აღიარებულია მყარი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და სრულყოფილი საქალაქო მეურნეობის შექმნა. ეს მიმართულება ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში დაიკავებს გამორჩეულად მნიშვნელოვან ხვედრით წილს.აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაიწყება და გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ქალაქის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების, ეზოებისა და სახურავების, დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია, ტროტუარების კეთილმოწყობა, ბოტანიკური ბაღისა და დადიანების სასახლე-მუზეუმის პროექტების განხორციელება, შეიქმნება ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი სერვისების (პარკინგი, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და ა.შ.) ახალი ინფრასტრუქტურა. ამასთან, ქალაქის ურბანული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება გარე განათების არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და ქსელის გაფართოება, ასევე სანიაღვრე და წყალარინების სისტემების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**1.1. 841.3 ათასი ლარი - გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა, საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმულების) შეკეთება, ამორტიზებული გზების მოხრეშვა-გასწორება, ავტო-სამანქანო გზების პრობლემურ ქანობიან მონაკვეთებზე რკინა-ბეტონის მონოლითური საფარის მოწყობა. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება საფეხმავლო ბილიკებისა და ტროტუარების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

ბაზრების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა;

ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზების და ტროტუარების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2.  26.9 ათასი ლარი - ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა, კონკრეტულად მდ.სინწაზე, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე მოქალაქე მურთაზ ხურცილავას სახლის მისასვლელთან, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული უბნის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კონკრეტული უბნის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეკეთებული და ახლად მოწყობილი ხიდების რაოდენობრივი ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.3. 3 820,5 ათასი ლარი - კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის ექსპლუატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისაგან ქალაქის დასაცავად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, შეკეთდება ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადები და სახურავები. ამავე პროგრამით 2016 წელს პირველად იგეგმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კეთილმოწყობილი და განათებული  ქალაქი;

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა;

რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობის ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3.1. 1676.1 ათასი ლარი - გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება, ამისგათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-შენახვა, ქალაქის გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი ქსელების მოწყობა, გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების დანერგვა და არსებულის სრულყოფა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღე-ღამის განმავლობაში, ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

განათებული ქუჩების და უბნების რაოდენობის ზრდა, საგზაო შემთხვევათა რისკების შემცირება.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3.2. 1836.2 ათასი ლარი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 50 ჰექტარამდე ფართის დაგვა-დასუფთავების და 130-150 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ბუნკერებიდან, კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა. ამ თანხების გარკვეული ნაწილი (12 ათასი ლარი) მოხმარდება მაწანწალა ძაღლების კუთხით ქალაქში არსებული პრობლემის ლოკალურად მოგვარების საქმეს.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

დასუფთავებული, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიები, ეკოლოგიურად გაუმჯობესებული მდგომარეობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მომსახურების სფეროს გადიდება, სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ააიპ „ზუგდიდდასუფთავება“**

**1.3.3. 109.0 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო სარგებლობის ქონების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მოქალაქეები ვერ ახერხებენ საკუთარი სახსრებით მიხედონ საერთო სარგებლობის ქონებას. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის სახურავის შეკეთებას (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების შეკეთებას; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთებას; სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას;

სადარბაზოების რემონტს და შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟს და ა.შ.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

საცხოვრებელი სახლების რეაბილიტირებული სახურავები და ლიფტები, კეთილმოწყობილი სადარბაზოები. ბინათმესაკუთრეთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გაზრდილი რაოდენობა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3.4. ლიფტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ლიფტების შეკეთება, რეაბილიტაცია და ახალი ლიფტების შეძენა-მონტაჟი. აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებულია მაღალსართულიანი ბინების მიხედვით. გათვალისწინებულია შესაბამისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ლიფტები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში რეაბილიტირებული და ახლად განთავსებული ლიფტების ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3.5. 185,0 ათასი ლარი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 06)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, შემოკავების სამუშაოებს, გადაბერებული ხეების მოჭრას და გადაცემას სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე, საფლავების აღრიცხვა-განკარგვაში წესრიგის დამყარებას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

კეთილმოწყობილი სასაფლაო მეურნეობა;

მოვლილი მიცვალებულთა საფლავები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სასაფლაოების დაცულობა და დაცული სასაფლაოების ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ,,სასაფლაოების მართვის ცენტრი“**

**1.3.6. 14.2 ათასი ლარი - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 07)**

ქალაქის დაგეგმარების და პერსპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზების შედგენა, საკადასტრო ნახაზების ელექტრონული ვერსიების მომზადება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

არასასოფლო მიწების მომზადებული საკადასტრო ნახაზები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

კანონის შესაბამისად განკარგული მიწები.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.4. 2 251,7 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

აღნიშნული პროგრამის მიხედვით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები: გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, სანიაღვრეების მოწყობა და ექსპლოატაცია, ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მათი გამწვანება, მწვანე საფარის მოვლა, შადრევნების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ბოტანიკური ბაღის მოვლითი სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ქალაქის კეთილმოწყობილი იერსახე;

მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული დასვენების ადგილები;

ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბნებისა და საზოგადოებრივი დასვენების კერების ზრდა;

კეთილმოწყობილი შადრევნები;

გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიები;

ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.4.1. 1310.0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრის" ბაზაზე (პროგრამული კოდი 03 03 02)**

პროგრამის მიზანია ზრუნვა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს არსებული ობიექტების მოვლა-შენახვას, გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას, ქალაქის პარკების, სკვერების, გაზონების გამწვანების მოვლა, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლითი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბელვას და ახლის დარგვას, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას, საგზაო ნიშნების ტექნიკურ სრულყოფას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

კეთილმოწყობილი ტერიტორიების გაფართოება, ქალაქის ცენტრისა და სხვა დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

კეთილმოწყობის საკითხებზე მოქალაქეთა შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ააიპ „კეთილმოწყობის ცენტრი"**

**1.4.2. პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მოწყობა, არსებულ სკვერებსა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. სკვერებსა და

პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შეძენა-მონტაჟი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანსაღი გარემოს შექმნა, მწვანე საფარით უზრუნველყოფილი ადგილების ზრდა;

ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დასვენებისა და გართობის ადგილების მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.5. 926.0 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოწესრიგებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვის მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.6. 87.9 ათასი ლარი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟს, გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოებს, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შეძენა-მონტაჟს, გზაჯვარედინების მოწესრიგებას, ავტოსადგომების მშენებლობას, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა, მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილება, საცობების შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.7. 50,0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.8. 392.2 ათასი ლარი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. მათ შორის, მარტოხელა მოხუცთა საცხოვრისის, უსახლკაროთა თავშესაფრის და მაწანწალა ძაღლების თავშესაფარის მოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ასევე, ამ პროგრამით იწარმოებს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

2.0. 2927,9 ათასი ლარი - განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამა ითვალისწინებს მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებების ხელშეწყობას, სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას, სკოლისგარეშე დაწესებულებათა თანადაფინანსებას და ზოგადი განათლების ხელშეწყობას.

2.1. 1957.0 ათასი ლარი - სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1900 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, კვების ნორმა გაზრდილია 32 ლარამდე. ეს უზრუნველყოფს სრულფასოვან კვებას და შესაბამისად ჯანსაღი თაობის აღზრდას; აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. მათ შორის, ფინანსდება რამდენიმე საბავშვო ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა-კეთილმოწყობა.

პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება, საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სკოლამდელი აღზრდის სფეროს საბოლოო მიზანია შეიქმნას ისეთი გარემო, რომ 6 წლის ასაკისათვის ბავშვის განვითარებაში მიღებულ იქნეს შემდეგი შედეგები:

სოციალურ- ემოციური განვითარება

ბავშვი ცნობიერების განვითარებას იწყებს, აქვს დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე, შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თანატოლებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თამაშებში, განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი.

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

ბავშვი იმდენად არის განვითარებული ფიზიკურად, რომ შეუძლია საკუთარი სხეულის მოძრაობის მართვა, ზუსტი მოძრაობის შესრულება, იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს, პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები.

შემეცნებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები, რომ მზად არის დაეუფლოს წერა კითხვას, განვითარებული აქვს ყურადღება და მეხსიერება, არის დაკვირვებული, შეუძლია საქმიანობის პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა.

მეტყველებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვამი, აქვს მოსმენის კულტურა, გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღქმის უნარი. წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესებს და იცის მათი დანიშნულება.

სწავლისადმი მიდგომა

ბავშვი არის ცნობისმოყვარე, აქტიური და ლაღი. სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება. უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბაღების აღსაზრდელთა 80-90% წარჩინებულია და ბაღის შერმდეგ სრულად აკმაყოფილებს სკოლის დაწყებით საფეხურზე შემსვლელი მოსწავლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ნორმალური აღზრდის ხელშეწყობა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება.

- ბავშვების აზროვნების, ემოციური სამყაროს, ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

- ბაღებს მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური კადრები.

- გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მშობელი გრძნობს, რომ საბავშვო ბაღში ყოფნისას მისი შვილი უსაფრთხო გარემოში იმყოფება და მატერიალურად ხელმისაწდომია, კმაყოფილი არიან სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მომსახურებით.

რეაბილიტირებული და ახლად აშენებული შენობების რაოდენობრივი ზრდა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“

2.2. 48.7 ათასი ლარი - საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, ქალაქის სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ქალაქის თვალსაჩინო ადამიანების საქმიანობის გაცნობა და კვლევა, შემოქმედებითი კონკურსების ჩატარება, საზაფხულო ბანაკებში სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეების დასვენება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსწავლეთა სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლება;

დამატებითი განათლების მიცემის ხელშეწყობა;

განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სრულყოფილი სასწავლო პროცესი და კეთილმოწყობილი გარემო.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

2.3. 365,0 ათასი ლარი - სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო, კულტურული წრეების ფუნქციონირება, სასკოლო ოლიმპიადების, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, შემეცნებითი სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული

სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფის თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსწავლეთა სკოლისგარეშე, დამატებითი განათლების, უნარ-ჩვევების, მისწრაფებების, განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე - ახალგაზრდობის მიერ მიღწეული წარმატებები სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ მიღწეული წარმატებების ზრდა სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“

2.4. 39.3 ათასი ლარი - განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდობის გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედებითი უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად, წარმატებული სტუდენტების და სკოლის მოსწავლეებისთვის სტიპენდიის მინიჭება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება, ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი კონტინგენტის ზრდის მაჩვენებელი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების მაჩვენებლის ზრდა;

სტიპენდიანტების რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3. 4178.9 ათასი ლარი - კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული ცხოვრების მკვეთრად გაუმჯობესებას, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის დაფინანსებას.

3.1. 2377.1 ათასი ლარი - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობრივი ზრდის და დაოსტატების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.1.1 744,3 ათასი ლარი - ქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ა(ა)იპ ,,სპორტის განვითარების ცენტრის" ბაზაზე (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამების მიზანია სპორტის მასობრიობა, სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა, მოსწავლე-სპორტსმენთა დაოსტატება, სასპორტო სკოლების, სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების და ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოს შიდა და ქვეყნის გარეთ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სპორტული მიღწევების გაუმჯობესება;

სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობით ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში მიღწეული მაღალი შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

- ახალი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ,,სპორტის განვითარების ცენტრი"

3.1.2. 30,0 ათასი ლარი - სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 050102)

პროგრამით გათვალისწინებულია ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენების და მწვრთნელების ოსტატობის დონის ამაღლება. მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, სპორტული შეჯიბრებების და მასში ჩართული ადამიანების თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდა, პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენა, შეჯიბრებების ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდა, სპორტისადმი მოსახლეობის მეტი ნაწილის ხელმისაწვდომობა, სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებების პროგრესირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეულ წარმატებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მოზარდების ჩართულობის ზრდა სპორტულ ღონისძიებებში და სპორტულ წრეებში ბავშვთა რაოდენობრივი ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.1.3. 307.8 ათასი ლარი - მინი სპორტული მოედნების მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამით გათვალისწინებულია ახლგაზრდული სპორტული ცენტრის და მინისპორტული მოედნების მშენებლობა, რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

თანამედროვე დონის სპორტული სექციებისა და მოედნების გაზრდა, ახალგაზრდა სპორტსმენების ვარჯიშების ჩატარებისათვის კომფორტული გარემოთი უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტული სექციებისა და მოედნების რაოდენობრივი ზრდა;

სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეულ წარმატებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.1.4. 1295,0 ათასი ლარი - ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამა ითვალისწინებს საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ ფინანსური ხელშეწყობის მიზნით თანხების აკუმულაციას ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში (ს/ნ 405135786);

პროგრამის მიზანია 2016 წელს შეჯიბრების მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ფეხბურთის გუნდის მომზადება და განვითარება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ტურნირებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფეხბურთის გუნდის მომზადება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე და ტურნირებში, ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გუნდის საქართველოს ჩემპიონატსა და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის სპორტულ-შედეგობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი შპს საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი“

3.2. 1 625,8 ათასი ლარი - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, მოსახლეობის განწყობას წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი, დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით, თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ტრადიციების შენარჩუნებას, დაცვას და პოპულარიზაციას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებას და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევას, „მწერალთა ხეივნის“ შექმნას, მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ჩამოყალიბებას, სხვადასხვა თეატრალური დასების მოწვევას, ხელოვნების საღამოების მოწყობას, კონკურსების ჩატარებას.

3.2.1. 166.0 ათასი ლარი - სამხატვრო გალერეის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუზეუმების ფონდის აღრიცხვა-სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია. სამხატვრო შემოქმედებითი გამოფენის მოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია და პოპულარიზება. არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შემოქმედებითი მდგომარეობის პროგრესირება. კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ზუგდიდელ მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობა, სამხატვრო გალერეაში ნახატებისა და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენებისა და ღონისძიებების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ფენებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გამოვლენილი და აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლები;

რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ-მუზეუმები;

ჩატარებულ ღონისძიებათა და მოწყობილი გამოფენების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და ა(ა)იპ ,,სამხატვრო გალერეა“

3.2.2. 67,8 ათასი ლარი - სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამულიკოდი 05 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს მოზარდებში სახვითი ხელოვნების უნარ-ჩვევების განვითარებას, პერსონალური და კოლექტიური გამოფენების, პედაგოგებისა და ოსტატებისათვის მასტერკლასების მოწყობას, სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდთა წარმოჩენას და პროფესიულ ზრდას, მონაწილეობს გამოფენებში, სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება.

ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმოჩენა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი მიღწევები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლა

3.2.3. 371,4 ათასი ლარი - სამუსიკო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 03)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება №1 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა და ოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა, მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, მუსიკალური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება;

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მუსიკოსთა შემოქმედებით-სახელოვნებო მიღწევები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - №1 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლები

**3.2.4. 370,0 ათასი ლარი - საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)**

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ბაზაზე. პროგრამის მიზანია: წიგნის კითხვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, შემოქმედებითი საღამოების მოწყობა, თანამედროვე შემოქმედი ავტორების პოპულარიზება. საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება, წიგნიერების გაზრდა. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. ღონისძიებების ინტესივობა და ხარისხი. წიგნის კვირეულის ჩატარება, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

საბიბლიოთეკო დარგის განვითარება, მოსახლეობის მეტი დაინტერესება წიგნიერებისადმი, ახალგაზრდა თაობის ცნობიერების დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მკითხველთა ზრდის მაჩვენებელი, ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა, ინტენსივობა და ეფექტიანობა; საზოგადოების წიგნიერების დონის მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკა“

**3.2.5. 250.6 ათასი ლარი - კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)**

პროგრამის მიზანია სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება; ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა; წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, სხვადასხვა თეატრალური დასების მოწვევა, ხელოვნების საღამოების მოწყობა, კონკურსების ჩატარება.

2016 კალენდარული წლის განმავლობაში ორგანიზებული იქნება შემდეგი კულტურულ - მასობრივი ღონისძიებების ჩატარება: ქართული თეატრის დღე,საქართველოს 1921 წლის 25 თებერვალი,ქალთა და დედის დღე, ქართული ჟურნალისტიკის დღე,ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, აუტიზმის საერთაშორისო დღე, 9 აპრილის ტრაგედიის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, დედამიწის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღე, მუზეუმის საერთაშორისო დღე,ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“, სკოლის კურსდამთავრებულთა დღე „ბოლო ზარი“, აფხაზეთობა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დღე, „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღე, ვლაქერნობა, 2008 წლის აგვისტოს ომის ხსოვნის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, 1924 წლის აჯანყების დღე, სასწავლო წლის დაწყების დღე, წიგნის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, ვეტერანთა საერთაშორისო დღე, „ზუგდიდობა“, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის კულტურული შემეცნებითი დონის ამაღლება, დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი;

საზოგადოების ფართო ფენების ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის დამკვიდრების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2.6. 20,0 ათასი ლარი - ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე შეკვეთილი ინფორმაციების, საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭვდის, სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ანაზღაურება. ადგილობრივ პრესაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ინფორმირებული მოსახლეობა.

მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;

მასმედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კვლევების შედეგები მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე მოსახლეობის ინფორმირების შესახებ;

მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2.7. 380,0 ათასი ლარი - თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ბაზაზე (პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამით ხორციელდება სასცენო ხელოვნების პოპულარიზება და განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემებზე ახალი სპექტაკლების დადგმა და ადრე არსებულის აღდგენა. თეატრალური წარმოდგენების გამართვა, თეატრალური ცხოვრების პოპულარიზება, გასტროლებზე გასვლა, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწად მასტერკლასების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრისა და თეატრალური ცხოვრებისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპექტაკლებზე მაყურებელთა დასწრების ზრდის მაჩვენებელი;

საზოგადოების თეატრალური ხელოვნებით დაინტერესების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სსიპ „შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი“

3.3. 56,0 ათასი ლარი - ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამით გათვალისწინებულია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებების ჩატარება, ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის; კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის პროგრამის განხორციელება დევნილ და ნაკლებად უზრუნველყოფილი ახალგაზრდებისთვის „ეტალონ მედიას" გადაცემაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მონაწილეობის პროგრამის განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მათი განათლების, კულტურის, ხელოვნების, ინტელექტუალური დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების, ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

**3.4. 120.0 ათასი ლარით - ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ხელშეწყობა (მათ შორის ე.ქ.კ. უბანში ეკლესიის გადახურვისათვის 20,0 ათ. ლარი)**

პროგრამით გათვალისწინებულია ქრისტიანული მართლმადიდებელი მრევლის, საეკლესიო მოღვაწეებისა და სასულიერო პირების თხოვნისა და სურვილების გაზიარება, ახალი საკათედრო ტაძრის მშენებლობის განხორციელებისათვის ფინანსური ხელშეწყობა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კანონმდებლობის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება, მრევლის საეკლესიო-საგანმანათლებლო და შემეცნებითი დონის ამაღლება, ერის სულიერებისა და ჯანსაღი ტრადიციების დამკვიდრებაში ეკლესიის როლისა და ადგილის გაძლიერება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქრისტიანული მართლმადიდებელი ახალი ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის ხელშეწყობის საქმეში სახელმწიფოს ინიციატივის წარმოჩენა, ქრისტიანული რელიგიური ახალი დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდის და მორწმუნე მრევლის რიცხობრივი მატების მაჩვენებელი.

**4. 1540.8 ათასი ლარი - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით 2016 წლის არამარტო გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფა, არამედ საგრძნობლად იზრდება ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების (14 პროგრამა) საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა.

ასევე სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მყარად დაცვას ინფექციური და ეპიდემოლოგიური დაავადებებისაგან.

**4.1. 69,5 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები

პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა - ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა, წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა.

სანიტარიული ღონისძიებები და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო, პრევენციული ზომების გატარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის ავადობის შემცირებული მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ჯანდაცვის საზოგადოებრივი ცენტრი

4.2. 26,5 ათასი ლარი – ჯანდაცვის სხვა ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)

ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს შენარჩუნების ღონისძიებათა გატარება. ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკფაქტორების იდენტიფიცირება, ავადობის პროგნოზირება და საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

4.3. 1385.4 ათასი ლარი - მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამულიკოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და სოციალურად დაუცველი (65000 ნაკლები სარეიტინგო ქულით) დევნილი მოსახლეობის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.3.1. 115,0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ( პროგრამული კოდი 06 03 01)

პროგრამა ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, ყოველდღიურად(გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები უნდა იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ადგილობრივი პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას ან მოპოვებული აქვთ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება, ასევე მარტოხელა

დედები, არამომუშავე მარტოხელა პენსიონერები, მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე პირები და სხვა (250 ბენეფიციარის ფარგლებში). სასადილოს იმ ბენეფიციარებს,რომლებიც საჭიროებენ ტრანსპორტის მომსახურეობას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ აღნიშნულ ობიექტამდე გადაადგილების ხარჯები.ბენეფიციართა შერჩევა მოხდება წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უფასო სასადილოთი სარგებლობის საჭიროების მქონე მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - უფასო სასადილო

4.3.2. 40,0 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 02)

ითვალისწინებს ომის ვეტერანთა ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღის –9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 150-ლარიან დახმარებას პენსიაზე, დანამატის სახით სამამულო ომის ადგილობრივ ვეტერანებზე. ომის ვეტერანთა ზუგდიდის კავშირის ფინანსურ ხელშეწყობას (მომვლელის საჭიროების მქონე ვეტერანის მოვლის საზღაური - თვეში 100 ლარის ოდენობით); მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებას 300 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად, აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, ქალაქ ზუგდიდში რეგისტრირებული - ბადრი ბერანძის ოჯახის ფინანსურ ხელშეწყობას 1000 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და თანადგომა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

4.3.3. 57,0 ათასი ლარი -ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03 03)

პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების, მარტოხელა დედების და დედ-მამით ობოლი ბავშვების ერთჯერად დახმარებას.

ბავშვების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები განისაზღვრება: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის – (18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე) – 400 ლარით; 5 ბავშვზე – 500 ლარით და ა.შ; პირველი-მეორე შვილის შეძენისას (ახალშობილზე) სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65000-ზე ნაკლები), – 200 ლარით; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპების შეძენისას (ახალშობილზე) – 500 ლარით, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის – 200 ლარით, მარტოხელა დედებისათვის, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი ქორწინების გარეშე - ყოველთვიურად 50 ლარით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი, ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, მარტოხელა დედების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სიღარიბის ზღვრის შემცირების მაჩვენებელი;

ახალშობილთა ზრდის დინამიკის მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**4.3. 107.0 ათასი ლარი -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია (კოდი 06 03 04)**

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი დახმარებები ითვალისწინებს ფულადი თანხის გაცემას 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე, ასევე, სმენადაქვეითებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 200 ლარით; მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე, სმენადაქვეითებულებზე, ონკოლოგიურ ავადმყოფებზე - 200 ლარით. ასევე,პროგრამა ითვალისწინებს მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულის (ქალები - 60, მამაკაცები - 65 წლის ასაკიდან)მძიმე ავადმყოფებისათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით (სოციალურად დაუცველი 10 ოჯახი).

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირთა და ხანდაზმულთა მხარდაჭერისათვის გატარებულ ღონისძიებათა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

საბიუჯეტო ასიგნებათა ზრდის დინამიკა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**4.3.5. 38,0 ათასი ლარი -მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03 05)**

პროგრამა ითვალისწინებს მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას. მარჩენალდაკარგულის ოჯახს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ერთჯერადი დახმარების სახით ეძლევა თანხა 200 ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მარჩენალდაკარგულთა ოჯახების ფინანსური ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**4.3.6. 5,0 ათასი ლარი - ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 03 06)**

პროგრამა ითვალისწინებს 100 წელს გადაცილებულთათვის ერთჯერად 500-ლარიან დახმარებას და ღვაწლმოსილი პენსიის ასაკის მოქალაქეების ყოველთვიურ 100-ლარიან დანამატს (10 ბენეფიციარი).

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ხანდაზმულთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ხანდაზმულ ადამიანთა მონაცემთა ბაზის დადგენა და მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

4.3.7. 40,0 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 07)

პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებზე (ადგილობრივი და დევნილი – 15 ვეტერანი), უდედმამო ბავშვებზე (15), მიუსაფართა სასადილოს (250) და სოციალური საცხოვრისის (15) ბენეფიციარებზე, ასევე, განსაკუთრებით შეჭირვებულ ოჯახებზე ფინანსურ, მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას, სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) დახმარებას საჩუქრებით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსურ მხარდაჭერას (14 ივნისი, 3 დეკემბერი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სადღესააწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების და მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

4.3.8. 47.8 ათასი ლარი სტუდენტების და უმწეო კატეგორიის პერსონალთა ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის პროგრამა (მათ შორის ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა და სასადილოს ბენეფიციარების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 08)

